წერილის ნომერი: **114-11423261196**
თარიღი: **18/09/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

მუნიციპალიტეტში მოქმედებს პროგრამები, რომლებიც მიმართულია ალტერნატიული გათბობის საშუალებებზე. კერძოდ „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება“ - ქვეპროგრამა რომელიც ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ ოჯახებს, 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირებს, ომის ვეტერანებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახებს.

ასევე ვახორციელებთ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საშეშე მასალით უზრუნველყოფას ;

მუნიციპალიტეტი საშეშე-სამერქნე მასალას ძირითადად გომის მთიდან იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ გადმოცემული მასალა იმდენად მიზერულია, მერია ვერ ახერხებს სრულა მოსახლეობის უზრუნველყოფას საშეშე- სამერქნე მასალით. იყო წლები, როცა მუნიციპალიტეტს საერთოდ არ მიუღია ხის მასალა.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი